# სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

## მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

## დაწესებულების შესახებ ინფორმაცია

| | |
|---|---|
| დაწესებულება | შპს გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა მათემატიკური სკოლა |
| საიდენტიფიკაციო კოდი | 209475904 |
| რეგიონი | თბილისი |
| რაიონი | ვაკე-საბურთალო/გლდანი-ნაძალადევი |
| მისამართი | ქ.თბილისი ჯ.ნადირაძის ქ.#26; / ქ.თბილისი ჩარგლის ქ.#79 |
| საფოსტო ინდექსი | |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | WWW.gdss.edu.ge |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | gdss209475904@gmail.com |
| ტელეფონი/ფაქსი | 2 92 36 86 |
| **დაწესებულების ხელმძღვანელი** | |
| სახელი და გვარი | გულნარა დევდარიანი |
| ტელეფონი | 551 33 52 68 |
| ელ-ფოსტა | gdss209475904@gmail.com |
| **დაწესებულებაში მოსწავლეებისა და პედაგოგების რაოდენობა** | |
| პედაგოგი | 38 |
| | 11 უფროსი; 14 პრაქტიკოსი |
| მოსწავლე/სსსმ მოსწავლე | 123 / სსსმ მოსწავლე 0 |
| **ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ** | |
| გადაწყვეტილების ნომერი | გადაწყვეტილება N 89, 06/09/2016 |
| მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | 320 |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

## მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

### დაწესებულება ახორციელებს

| | |
|---|---|
| დაწყებით ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას | ■ |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას | ■ |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას | ■ |
| პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას | □ |

### ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| მონიტორინგის განხორციელების საფუძველი | შპს გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა მათემატიკური სკოლაში მონიტორინგის განხორციელების საფუძველია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 30 აპრილის N312 ბრძანება, რომლის თანახმად მონიტორინგის ჯგუფს დაევალა ავტორიზაციის პირობების შესრულების, კერძოდ, დაწესებულების მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების “ მე-3- მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული სტანდარტების შესრულების შემოწმება. |
| მონიტორინგის ჯგუფის წევრები | ლელა ფიცხელაური (ჯგუფის თავჯდომარე)<br>მანანა თურქაძე (წევრი)<br>რუსუდან თედორაძე (წევრი) |
| ვიზიტის განხორციელების პერიოდი | 2019 წლის 6 – 8 მაისი |
| დასკვნის მომზადების თარიღი | 2019 წლის 27 მაისი |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

## მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

## ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი

## I. საგანმანათლებლო პროგრამები

### 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

| | |
|---|---|
| აღწერა | შპს გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა მათემატიკურმა სკოლამ წარმოადგინა 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც შემუშავებულია კათედრებისა და დირექტორის მონაწილეობით და დამტკიცებულია სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ 2018 წლის 7 სექტემბერს (პედსაბჭოს ოქმი N 4).<br>სასკოლო სასწავლო გეგმა აგებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით, მისი შემადგენელი ნაწილები მეტწილად იმეორებს ეროვნული სასწავლო გეგმის ტექსტს.<br><br>სსგ-ში მოცემული მისიის მიხედვით სკოლა უზრუნველყოფს: „წინა პირობების დადგენისა და შერჩევის გარეშე მიღებული მოსწავლეებისათვის სათანადო სასწავლო პირობების შექმნით გარკვეული ცოდნის მიღებას. მცირე კონტინგენტის პირობებში, დამატებითი ინდივიდუალური მუშაობის მეშვეობით, საგნებში საათობრივი დატვირთვის გაზრდით ისეთი დონის მიღწევას, რომ რეპეტიტორის გარეშე მოსწავლეებმა შეძლონ საატესტატო და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება. მოსწავლეთა ლოგიკურ-მათემატიკური აზროვნების უნარის განვითარებას. მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე პიროვნებებად ჩამოყალიბებას. თითოეული მოსწავლის აღჭურვას საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებით, ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებისა და საკუთარი უფლებების დაცვის უნარის განვითარებას. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა-აღზრდისათვის საჭირო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფას. ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის პრინციპების დაცვის ხელშეწყობას. ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვის ხელშეწყობას. უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას სკოლის თანამშრომლებისა და მოსწავლეებისათვის“.<br><br>**სკოლას მიეცა რეკომენდაცია გაითვალისწინოს საკანონმდებლო ცვლილება საატესტატო** |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

| | |
|---|---|
| | **გამოცდების გაუქმებასთან დაკავშირებით და მისიაში შეიტანოს შესაბამისი შესწორება.**<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმა, ორიენტირებულია მისიის მიღწევაზე, რაც დასტურდება გეგმაში ასახული აქტივობებით, მაგ: მათემატიკისა და ფიზიკის გაღრმავებული სწავლებისათვის გამოყოფილია დამატებითი საათები, საშუალო საფეხურზე ისწავლება ზოგადი უნარები. არჩევითი საგნებიდან სკოლას X; XI და XII კლასებში არჩეული აქვს გარემო და მდგრადი განვითარება, სამედიცინო ბიოლოგია, შესავალი თანამედროვე ფიზიკაში. სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული დამატებითი მეცადინეობების ჩატარების ვალდებულება. კლასში მოსწავლეთა კონტინგენტი მცირეა, მათთან მასწავლებლები, საჭიროებიდან გამომდინარე მუშაობენ დამატებით-ინდივიდუალურად.<br><br>პედაგოგების საქაღალდეებში ინახება თითოეული საგნის ესგ-ის შესაბამისი თემატური გეგმა. სადამრიგებლო პროგრამებში ასაკის შესაბამისად, სხვადასხვა მიმართულებებთან ერთად, გაწერილია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისთვის საჭირო აქტივობები. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ეხმარება სკოლას მისიის მიღწევაში.<br><br>სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის საზოგადოებისათვის გაცნობის წესები - მშობლებსა და მოსწავლეებს ცვლილებების: სემესტრული და წლიური გამოცდების, შეფასების რუბრიკების და სხვა შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ სასწავლო წლის დასაწყისში შეხვედრებზე, მშობელთა კრებებზე, ვებ-გვერდის, სატელეფონო კავშირისა და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.<br><br>დაწესებულების სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებების შესწავლამ აჩვენა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. |
| დადასტურება/დანართი | • სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• პედაგოგიური საბჭოს ოქმები;<br>• საგნობრივი კათედრების ჟურნალები; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

| | |
|---|---|
| | • პედაგოგების, მათ შორის დამრიგებლების პორტფოლიოები;<br>• გამოცემული ბრძანებები;<br>• ინტერვიურება. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრისN99/ნ ბრძანების თავი I I, მუხლი- მე-3, პუნქტი ,,ა“ და ,,ბ“. |

**1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები**

| | |
|---|---|
| აღწერა | შპს გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა მათემატიკურ სკოლაში სწავლა მიმდინარეობს სამივე საფეხურზე: დაწყებითი(I-VI კლასები); საბაზო( VII-IX კლასები); საშუალო( X-XIIკლასები). კონტინგენტის სიმცირის გამო დაწყებით საფეხურზე, კერძოდ II-III კლასში შექმნილია კლას-კომპლექტი.<br><br>სკოლაში ფუნქციონირებს კათედრები, რომლებიც აერთიანებს საგნობრივ ჯგუფებში ყველა მასწავლებელს. შემუშავებულია კათედრების მოვალეობები, სამოქმედო გეგმები და პროგრამები საგნებისა და საფეხურების მიხედვით. კათედრების ანგარიშები და ჩატარებული მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია ინახება შესაბამის საქაღალდეებში.<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სხვადასხვა საფეხურის კლასებისათვის საათობრივი დატვირთვა და შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა, ასევე გაცდენილი შემაჯამებლის აღდგენის ვადები და ფორმა საგნების მიხედვით.<br><br>სკოლას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან გაფორმებული აქვს მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც საბუნებისმეტყველო საგნებში უნივერსიტეტის ლაბორატორიაში საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეები ესწრებიან სასწავლო მასალის შესაბამის |

| | |
|---|---|
| | ცდებს;<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით არ იყო განსაზღვრული მეორე უცხოურ ენად რომელ ენებს სთავაზობდა სკოლა და სპორტის რომელი სახეობები ჰქონდათ არჩეული მოსწავლეებს .<br><br>სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ უცხოური ენებიდან მოსწავლეებს სკოლამ შესთავაზა გერმანული და რუსული ენები , მაგრამ ყველა მოსწავლემ აირჩია რუსული ენა. რაც შეეხება სპორტს ინტერვიურებისას აღინიშნა , რომ ჩარგლის ქუჩაზე მდებარე შენობაში საბაზო საფეხურზე ტარდებოდა: მხატვრული ტანვარჯიში, მაგიდის ჩოგბურთი და ჭადრაკი, ხოლო ნადირაძის ქუჩაზე მდებარე შენობაში: ფრენბურთის, ფეხბურთისა და ჭადრაკის გაკვეთილები (სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი პროგრამები).ამასთანავე, შენობის ვიზუალური დათვალიერებისას თვალნათლივ ჩანდა, რომ სკოლას აქვს აღნიშნული სპორტის სახეობების გაკვეთილების თავისუფლად ჩატარების მატერიალური ბაზა: დახურული სპორტული დარბაზი, შესაბამისი სპორტული ინვენტარით (ჩარგლის ქუჩაზე) და ღია სპორტული მოედანი (ნადირაძის ქუჩაზე).<br><br>სკოლამ ვიზიტის პერიოდში დირექტორის ბრძანება N 30 (07.05.2019) საფუძველზე შეიტანა ცვლილება ხარვეზის გამოსწორების მიზნით და სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახა შერჩეული სპორტის სახეობების ჩამონათვალი.<br><br>**სკოლას მიეცა რეკომენდაცია სპორტის გაკვეთილები ჩაეტარებინათ ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად სწავლების ყველა საფეხურზე. უცხოური ენებისა და სპორტის სახეობების არჩევა/შერჩევა დადასტურებული ყოფილიყო შესაბამისი ოქმებით/ ბრძანებებით.**<br>გ.დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი. ისინი აწარმოებენ დამრიგებლის პორტფოლიოს, რომელშიც წარმოდგენილია დამრიგებლის მუშაობის მიზნები, მოვალეობები, მუშაობის პრინციპები |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

| | |
|---|---|
| | და საკლასო ღონისძიებები. ყველა დაგეგმილი აქტივობა გამომდინარეობს სასკოლო სასწავლო გეგმიდან და შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. სასწავლო წლის ბოლოს დამრიგებლების მიერ კეთდება სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის აკადემიური მიღწევის, გაკვეთილებზე დასწრებისა და ქცევის ანალიზი და თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება.<br><br>მცირერიცხოვანი კლასები, საგაკვეთილო და დამატებითი მეცადინეობები, საშუალებას აძლევს მოსწავლეებს შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აკადემიური ცოდნა, უნარები და ღირებულებები. |
| დადასტურება/დანართი | • სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• საგნობრივი პროგრამები;<br>• კათედრების ჟურნალები;<br>• დამრიგებლის პორტფოლიოები;<br>• გასაუბრება ფოკუს ჯგუფთან.<br>• სკოლის ვებ-გვერდი - http://www.gdss.edu.ge/<br>• სკოლის facebook გვერდი https://www.facebook.com/gdss.edu.ge/ |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების თავი II, მუხლი მე-3, პუნქტი ა, ბ. |

### 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

| | |
|---|---|
| აღწერა | მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართულობის უზრუნველსაყოფად განხორციელებული აქტივობების, სასწავლო პროცესში გამოყენებული მიდგომებისა და მეთოდების დადგენის მიზნით ჩატარებული ინტერვიურებით პედაგოგებთან, დირექციის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

| | |
|---|---|
| | წარმომადგენლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან დადგინდა, რომ გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში მცირერიცხოვანი კლასები იძლევა მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვის საშუალებას. პედაგოგები ატარებენ დამატებით მეცადინეობებს იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც სხვებისაგან განსხვავებით საჭიროებენ მეტ დროს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული უნარ-ჩვევების განვითარებისა და ცოდნის ათვისებისთვის.<br><br>სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა გამოთქვამს მზადყოფნას საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს აღნიშნული მომსახურება.შემუშავებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან სასწავლო და სააღმზრდელო მიდგომები და წესები - აღნიშნულ წესში განსაზღვრულია ის მექანიზმები, რომელთა მიხედვითაც სკოლა იმოქმედებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მიღების შემთხვევაში. |
| დადასტურება/დანართი | • სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;<br>• ინტერვიუირება. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრისN99/ნ ბრძანების თავი I I, მუხლი მე-3, პუნქტი - გ |

**1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების სისტემა. ამასთანავე, ქულების გამოანგარიშების წესი, სემესტრული/წლიური შეფასების პრინციპები. შემუშავებულია შეფასების სქემები, ზოგადი რუბრიკები საგნების მიხედვით, რომლებიც განთავსებულია |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

| | |
|---|---|
| | საკლასო ოთახებში.<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სხვადასხვა საფეხურის კლასებისათვის შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა საგნების მიხედვით.<br><br>ექსპერტებმა, მასწავლებლებთან ერთად, შერჩევითი წესით, განვიხილეთ რამდენიმე პედაგოგის სხვადასხვა კლასის შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა შემდეგი თავისებურებები:<br><br>შემაჯამებელი დავალებები ძირითადად ერთი ტიპისაა - ტესტური (ღია და დახურული), რაც უმეტესად მხოლოდ ფაქტობრივი მასალის ცოდნას ემსახურება. მასწავლებლის მიერ შემუშავებული ანალიზები და შეფასების კრიტერიუმები ზოგადია, ხშირ შემთხვევაში, ვერ იძლევა პრობლემების იდენტიფიცირებისა და მისი გადაჭრის საშუალებას.<br><br>**სკოლის ადმინისტრაციასა და პედაგოგებს მიეცათ რეკომენდაცია, ყურადღება გაემახვილებინათ ეროვნული სასწავლო გეგმის ინდიკატორების ამოქმედების მექანიზმებისა და შემაჯამებელი დავალებების ფორმის განსაზღვრაში.**<br><br>**ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით მოცემული შედეგების მიღწევისათვის თითოეულ საგანში სავალდებულოა, შემაჯამებელი დავალებები იყოს მრავალფეროვანი; შემაჯამებელი დავალება შინაარსითა და სტრუქტურით იძლეოდეს შედეგის მიღწევის საშუალებას (ესგ. მუხლი 32).**<br><br>სკოლაში მოსწავლეები ფასდებიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით. განმავითარებელი შეფასების ნიმუშები წარმოდგენილია თითოეულ მოსწავლეზე პირად საქმეში ჩადებული წლიური კომენტარების სახით.<br><br>დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით, ასევე საშინაო დავალების რვეულების დათვალიერებით დადგინდა, რომ „მოტივაციის ამაღლების მიზნით“ პერიოდულად ხდება მოსწავლის შეფასება ქულებით ან ღიმილებით |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

| | |
|---|---|
| | (სტიკერებით). აღნიშნული აისახება მხოლოდ საშინაო დავალების რვეულებში.<br><br>**სკოლას მიეცა რეკომენდაცია გაითვალისწინოს ესგ-ს მუხლი 32 და დაწყებით საფეხურზე, საშინაო დავალების შეფასებისას აქტიურად გამოიყენოს მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.**<br><br>2018-19 წ. სასკოლო-სასწავლო გეგმით, ჩასატარებელი გამოცდების განრიგით, გამოცდის დებულებით და გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ყოველი წლის ბოლოს ტარდება გამოცდები VII-X კლასის ჩათვლით ფიზიკასა და მათემატიკაში. გამოცდის ქულა იანგარიშება მოსწავლის წლიური შეფასების დროს.<br><br>**სკოლას მიეცა რეკომენდაცია გაითვალისწინოს ეროვნული სასკოლო გეგმის მუხლი 36 პუნქტი 9.** „სკოლას უფლება აქვს ერთი აკადემიური წლის განმავლობაში კლასს დაუნიშნოს გამოცდა არაუმეტეს ორ საგანში. ამავე დროს, ერთსა და იმავე საგანში გამოცდებს შორის უნდა იყოს ორწლიანი შუალედი მაინც (მაგ., თუ სკოლამ კონკრეტულ კლასისთვის მე-7 კლასში დანიშნა წლიური გამოცდა ინგლისურ ენაში, მომდევნო ორი წლის განმავლობაში ამ კლასისთვის ამ საგანში ვეღარ დანიშნავს წლიურ გამოცდას). აღნიშნული არ ეხება იმ საგანს/საგნებს, რომლებშიც სკოლებს გაძლიერებული სწავლების სტატუსი აქვთ მიღებული;“<br><br>სკოლის წარმომადგენლებს განემარტათ, რომ მხოლოდ საათობრივი ნამატი ამა თუ იმ საგანში არ არის სკოლისთვის გაძლიერებული სწავლების სტატუსის მინიჭების საფუძველი. |
| დადასტურება/დანართი | • სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• შეფასების რუბრიკები საგნების მიხედვით;<br>• საგამოცდო დებულება;<br>• ინტერვიუება პედაგოგებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან;<br>• ვიზუალური დათვალიერება;<br>• საკლასო ჟურნალები. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

| | |
|---|---|
| | |
| შეფასება | **დარღვეულია** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების II თავის, მე-3 მუხლის „დ" - პუნქტი |

**1.5** **შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით**

| | |
|---|---|
| აღწერა | მშობლის ინფორმირების მიზნით გამოყოფილია ღია კარის დღე მშობლებისთვის ყოველ პარასკევს. ტარდება მშობელთა კრებები და მშობლებთან ინდივიდუალური საუბრები როგორც პირად შეხვედრებზე, ისე სატელეფონო ზარების საშუალებით. შექმნილია სკოლის ვებ-გვერდი - http://www.gdss.edu.ge/ , სკოლის facebook გვერდი https://www.facebook.com/gdss.edu.ge/, სკოლის საინფორმაციო სტენდი, რომლითაც შესაძლებელია სხადასხვა სიახლის გაცნობა. |
| დადასტურება/დანართი | • ინტერვიუება პედაგოგებთან და მშობლებთან;<br>• სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრისN99/ნ ბრძანების თავი II,<br>მუხლი მე-3, პუნქტი - ე |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

## მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

**1.6** შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების კონკრეტული მექანიზმი არ არის განსაზღვრული. თუმცა წარმომადგენლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სასწავლო წლის განმავლობაში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მონიტორინგი დირექტორის, საგნის პედაგოგებისა და დამრიგებლების მიერ; გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებით აზრების უზიარებენ ერთმანეთს, რაც მიზნად ისახავს სწავლა/ სწავლების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოჩენას. სკოლამ წარმოადგინა სტრუქტურული ერთეულების, მათ შორის დირექტორის მოადგილის ანგარიშები, რომლებშიც ნაჩვენებია სკოლის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, მაგრამ ნაკლებადაა ყურადღება გამახვილებული ინტერვენციებზე.<br><br>**სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შეემუშავებინა სსგ-ს გაუმჯობესების მექანიზმები, რომელშიც გაიწერება განსახორციელებელი აქტივობები, ხოლო სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებები დადგინდება სასწავლო წლის მანძილზე სასკოლო საზოგადოების, საგნის მასწავლებლების, კლასის დამრიგებლების, კათედრის ხელმძღვანელებისა და ადმინისტრაციის მიერ შეგროვებული და გაანალიზებული მონაცემების საფუძველზე. სკოლაში მიმდინარე პროცესის კვლევა/ანალიზი ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის წარმართვასა და მის შემდგომ გაუმჯობესებას.** |
| დადასტურება/დანართი | • სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• პედსაბჭოს ოქმები;<br>• კათედრების სხომების ოქმები;<br>• დირექტორის მოადგილის ანგარიშები;<br>• დამრიგებლების ანგარიშები;<br>• გასაუბრება. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრისN99/ნ ბრძანების თავი II, მუხლი მე-3, პუნქტი - ვ |

## II. მატერიალური რესურსი

**2.1** **დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:**

**ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:**

| | |
|---|---|
| აღწერა | შპს გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლა იჯარის უფლებით 2022 წლამდე ვადით ფლობს სასწავლო შენობა-ნაგებობებს ორ მისამართზე:<br>**1.** ქ.თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩაზე მაღლივ კორპუსსა და ქავთარაძის ქუჩის მიმდებარე ნაკვეთი B ( ამჟამინდელი ჯ.ნადირაძის № 4) 450 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამსართულიანი შენობა საერთო ფართი 504 ,09 კვ. მ.<br>**2.** ქ. თბილისი, ჩარგლის ქუჩა №79 ნაკვეთი №1/55 არასაცხოვრებელი ფართი (ცალკე მდგომი ორსართულიანი შენობა-ნაგებობა) პირველი სართულის საერთო ფართი-517,21.კვ.მ; მეორე სართულის საერთო ფართი- 448.26 კვ. მ; |
| მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი | № 01.12.04.001.055.02.525 |
| დადასტურება/დანართი | • ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (ს/კ № 01.12.04.001.055.02.525);<br>• ნაგებობების შიდა აზომვითი ნახაზი;<br>• საიჯარო ხელშეკრულება;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

| | |
|---|---|
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა" ქვეპუნქტი. |

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

| | |
|---|---|
| აღწერა | **ჯ.ნადირაძის ქუჩაზე** მდებარე სასწავლო ფართში არის 10 საკლასო ოთახი, რომელშიც განლაგებულია მოსწავლის 109 ინდივიდუალური მერხი. საკლასო ოთახები ასევე აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით , დაფებით და სასწავლო პროცესის დამხმარე სხვა თვალსაჩინოებებით.<br><br>**ჩარგლის ქუჩაზე** მდებარე სასწავლო ფართში არის 12 სასწავლო ოთახი, რომელშიც განლაგებულია 193 მერხი. აქედან 69 მერხი იყო დასაწყობებული, სათადარიგო გამოყენებისათვის . თითოეული საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდი, სკამით , დაფებით და სასწავლო პროცესის დამხმარე სხვა თვალსაჩინოებებით. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• ჩუქების ხელშეკრულებება;<br>• მიღება- ჩაბარების აქტები;<br>• მოძრავი ქონების შეფასების ანგარიში; |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ" ქვეპუნქტი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

### გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

| | |
|---|---|
| აღწერა | **ნადირაძის ქუჩაზე** მდებარე სასწავლო ფართზე სკოლის მიერ არჩეული სპორტის სახეობებია: ფეხბურთი, ფრენბურთი და ჭადრაკი. სკოლის ეზოში არის ორი მცირე ზომის სპორტულ მოედანი - ფეხბურთისთვის და ფრენბურთისთვის.<br><br>**ჩარგლის ქუჩაზე** მდებარე სასწავლო ფართზე სკოლის მიერ არჩეული სპორტის სახეობებია: მხატვრული ტანვარჯიში; მაგიდის ჩოგბურთი და ჭადრაკი. სკოლას აქვს ტანვარჯიშისათვის განკუთვნილი სპორტული დარბაზი აღჭურვილი საჭირო ინვენტარით, ხოლო სკოლის ფოიეში განთავსებულია ორი ჩოგბურთის მაგიდა შესაბამისი ინვენტარით. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• ჩუქების ხელშეკრულება;<br>• მიღება- ჩაბარების აქტები;<br>• მოძრავი ქონების შეფასების ანგარიში; |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტი. |

### დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას ორივე ფართზე აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების აღჭურვილობა (ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია-ანატომიის), ორივე მისამართზე ლაბორატორიებში უსაფრთხოების ზომების გათვალისწინებით დამონტაჟებულია გამწოვი |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

| | |
|---|---|
| | მოწყობილობა; ქიმიური რეაქტივები მოთავსებულია ცალკე კარადაში .<br><br>ჩარგლის ქუჩაზე ლაბორატორია განთავსებულია შენობის მეორე სართულზე, ბუნებრივი განათებით უზრუნველყოფილ ოთახში.<br><br>ჯ.ნადირაძის ქუჩაზე ლაბორატორია განთავსებულია შენობის ნულ სართულზე სადაც არ არის საკმარისი ბუნებრივი განათება (არის მცირე ზომის სარკმელი ) . |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• ჩუქების ხელშეკრულება;<br>• მიღება- ჩაბარების აქტები;<br>• მოძრავი ქონების შეფასების ანგარიში;<br>• დირექტორთან გასაუბრება. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტი. |

**2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო. შენობის გათბობა ხორციელდება ცენტრალური გათბობის სისტემით. ჩარგლის ქუჩაზე მდებარე სასწავლო ფართში 6 , ხოლო ჯ.ნადირაძის ქუჩაზე მდებარე შენობაში 5 სველი წერტილია. დაცულია ჰიგიენურ-სანიტარული ნორმები. საკლასო ოთახები უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. სკოლას ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია და წყალი მიეწოდება საქალაქო ქსელიდან. ორივე მისამართზე წარმოადგენილია გადასახადების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და სათანადო ხელშეკრულებები. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

| | |
|---|---|
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• გადახდის ქვითრები;<br>• მომსახურების ხელშეკრულებები. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი. |

**2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას ორივე მისამართზე აქვს ბიბლიოთეკა და ჰყავს ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკაში არის მკითხველთა ფორმულარები, წიგნები დალაგებულია ანბანური კატალოგის მიხედვით, დამუშავებულია და გატარებულია ბიბლოიოთეკის საინვენტარო წიგნში.<br><br>**ჩარგლის ქუჩაზე** მდებარე სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებულია შენობის პირველ სართულზე, ბუნებრივი განათებით უზრუნველყოფილ ოთახში. ბიბლიოთეკაში არის: 2166 ერთეული მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა ,ასევე ყველა კლასის და ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოების კომპლექტები, რომელიც სასაკოლო სასწავლო გეგმით არის გათვალისწინებული.<br><br>**ჯ. ნადირაძის ქუჩაზე** მდებარე სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებულია შენობის ნულ სართულზე ,რომელსაც ბუნებრივი განათება მიეწოდება მცირე ზომის სარკმელით. ბიბლიოთეკაში არის 650 ერთეული მხტვრული და სამეცნიერო ლიტერატურა,ასევე გრიფირებული სახელმძღვანელოების კომპლექტები.<br><br>სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია ბიბლიოთეკაში. ბიბლითეკაში |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

| | | |
|---|---|---|
| | | შესაძლებელია კომპიუტერით სარგებლობა.<br><br>ინტერვიურებისას აღინიშნა , რომ იგეგმება ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ელექტრონული კატალოგის შექმნა და კომპიუტერების დამატება.<br><br>**სკოლის ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია: ჯ.ნადირაძის ქუჩაზე მდებარე ბიბლიოთეკა განათავსოს უკეთესი ბუნებრივი განათებით უზრუნველყოფილ ოთახში.** |
| | დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• ჩუქების ხელშეკრულება;<br>• მიღება- ჩაბარების აქტები;<br>• მოძრავი ქონების შეფასების ანგარიში;<br>• ინტერვიურება. |
| | შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი. |

| | | |
|---|---|---|
| **2.4** | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
| | აღწერა | სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. სპეციალური საგანმანათლებო საჭიროების მოსწავლეთა და სხვა პირთა იმ კატეგორიისთვის, რომლებიც საჭიროებენ ეტლით გადაადგილებას, სკოლას დამზადებული აქვს მოძრავი პანდუსი, რომელიც ორივე მისამართზე არის დასაწყობებული და ადმინისტრაციის განმარტებით საჭიროებისამებრ ადვილად დამონტაჟდება. ამავდროულად სსსმ მოსწავლის ყოლის შემთხვევაში, სკოლის დებულებით გათვალისწინებულია მისთვის გადაადგილებაში დამხმარე პირის გამოყოფა.<br><br>ჩარგლის ქუჩაზე მდებარე დაწესებულებაში 2 სველი წერტილი (ერთი- |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

| | |
|---|---|
| | გოგონებისთვის, ერთი კი ვაჟებისთვის) სრულად ადაპტირებულია, ხოლო **ჯ. ნადირაძის ქუჩაზე** სასწავლო შენობაში მდებარე საპირფარეშოში შესასვლელი კარები ვიწროა, ხოლო შიდა კარები სრულად არ იღება, რაც ეტლით მოსარგებლე მოსწავლეს სირთულეს შეუქმნის. **სკოლის ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია - უზრუნველყონ სველი წერტილის სრული ადაპტირება შესაბამისი ნორმების დაცვით.** |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• ხელშეკრულება პანდუსის დამზადების შესახებ. |
| შეფასება | **დარღვეულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი. |

**2.5** სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არა უმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. კერძოდ:<br><br>**ჩარგლის ქუჩაზე** -10 კომპიუტერია, რომლებიდანაც 8 განთავსებულია კომპიუტერულ კლასში, ერთი ადმინისტრაციაში და ერთი ბიბლიოთეკაში ,ყველა მათგანი ჩართულია ინტერნეტში.<br><br>**ჯ.ნადირაძის ქუჩაზე** -7 კომპიუტერია, რომლებიდანაც 5 განთავსებულია კომპიუტერულ კლასში, ერთი ადმინისტრაციაში და ერთი ბიბლიოთეკაში. ყველა მათგანი ჩართულია ინტერნეტში. სკოლას აქვს სოციალური ქსელი facebook-ი https://www.facebook.com/gdss.edu.ge/ და ვებგვერდი http://www.gdss.edu.ge/ |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

| | |
|---|---|
| | რომელებიც ასრულებენ საინფორმაციო და საკონტაქტო ფუნქციას. |
| დადასტურება/დანართი | • ინტერნეტ პროვაიდერთან დადებული ხელშეკრულება (კომპანია შპს "სილქნეტი");<br>• სკოლის ვებგვერდი - http://www.gdss.edu.ge/<br>• facebook-ი https://www.facebook.com/gdss.edu.ge/<br>• ხელშეკრულება ვებ-ჰოსტინგის მომსახურეობის გაწევის შესახებ;<br>• ჩუქების ხელშეკრულება;<br>• მიღება-ჩაბარების აქტები;<br>• მოძრავი ქონების შეფასების ანგარიში. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.<br>დაკმაყოფილებულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე“ რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს N572 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი. |

**2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:**

**ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის ორივე მისამართზე ,ყველა სართულზე დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები სულ 9 ერთეული. აქედან: ჩარგლის ქუჩაზე- 6 ერთეული, ჯ.ნადირაძის ქუჩაზე-3 |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

| | |
|---|---|
| | ერთეული. ვიზიტის დროს აღმოჩნდა, რომ **ცეცხლმაქრებს ექსპლუატაციის ვადა 2017 წელს ქონდათ ამოწურული და საჭიროებდა ხელახალ დამუხტვას. სკოლის ადმინისტრაციამ ვიზიტის დასრულებამდე უზრუნველყო ცეცხლმაქრების გადამუხტვა და სათანადო დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.**<br><br>სკოლას შემუშავებული აქვს სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია და ხანძრის დროს გასატარებელი ღონისძიებები; |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• სკოლის საევაკუაციო გეგმები. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.ა" ქვეპუნქტი. |

### ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის საევაკუაციო გეგმები შემუშავებულია სსიპ-საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ და ორივე მისამართზე გამოკრულია დერეფნებში თვალსაჩინო ადგილას. |
| დადასტურება/დანართი | • სკოლის საევაკუაციო გეგმები.<br>• ვიზუალური დათვალიერება; |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.ბ" ქვეპუნქტი. |

### გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | | |
|---|---|---|
| | აღწერა | სკოლას ორივე მისამართზე ჰყავს კვალიფიციური მედდა.<br><br>**ჩარგლის ქუჩაზე** სამედიცინო კაბინეტი განთავსებულია შენობის პირველ სართულზე და აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. პირველადი დახმარების აღმოსაჩენი მედიკამენტები მოთავსებულია კარადაში წესების დაცვით. ხორციელდება მიმართვიანობის აღრიცხვა. **სამედიცინო კაბინეტში არ არის დამონტაჟებული სველი წერტილი, ( კაბინეტში დგას სასმელი წყლის ჭურჭელი ,არის ერთჯერადი ჭიქების მარაგი)**<br><br>**ჯ. ნადირაძის** ქუჩაზე განთავსებული სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. პირველადი დახმარების აღმოსაჩენი მედიკამენტები მოთავსებულია კარადაში წესების დაცვით.ხორციელდება მიმართვიანობის აღრიცხვა. **სამედიცინო კაბინეტს არახელსაყრელი მდებარეობა აქვს** (განთავსებულია შენობის ბოლო, მესამე სართულზე). **არ არის ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და დამონტაჟებული სველი წერტილი, ( კაბინეტში დგას სასმელი წყლის ჭურჭელი , არის ერთჯერადი ჭიქების მარაგი)**<br><br>სკოლაში შემუშავებულია მედდის თანამდებობრივი ინსტრუქცია, რომელშიც მოცემულია მედდის უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები. |
| | დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• მედდასთან დადებული ხელშეკრულება;<br>• მედდის თანამდებობრივი ინსტრუქცია. |
| | შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.გ“ ქვეპუნქტი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

## მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

### დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი დებულება, შინაგანაწესი, რომელიც განსაზღვრავს სტრუქტურას და არეგულირებს სკოლის მართვას. ამ რეგულაციებიდან გამომდინარე სკოლაში შექმნილია საგანგებო სიტუაციების შტაბი და გაწერილია საგანგებო შტაბის წევრების ფუნქციონალური მოვალეობები, ასევე საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ძირითადი ღონისძიებების გეგმა.<br><br>**სკოლის ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია, რომ საგანგებო შტაბის შექმნის ბრძანება განახლდეს ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, ან ბრძანებით განისაზღვროს შტაბის მოქმედების ვადა.**<br><br>მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლას ორივე მისამართზე ჰყავს დარაჯი, რომელიც ითავსებს უსაფრთხოების დაცვის თანამშრომლის ფუნქციებსაც. სკოლაში ორივე მისამართზე არის პედაგოგთა მორიგეობა, რომლებიც თვალს ადევნებენ მოსწავლეთა ქცევას სკოლის შენობასა და ეზოში. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• სკოლის დებულება;<br>• სკოლის შინაგანაწესი;<br>• ბრძანება -საგანგებო სიტუაციების შტაბის შექმნის შესახებ. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | მუხლის პირველი პუნქტის „ვ.დ“ ქვეპუნქტი. |

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა
და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულებას ჩარგლის ქუჩაზე აქვს ერთი შემოსასვლელი და ერთი სათადარიგო გასასვლელი. გარე პერიმეტრზე განლაგებულია ოთხი გარე კამერა(ორი შემოსასვლელში და ორი სათადარიგო გასასვლელში). სკოლის შიდა პერიმეტრი კონტროლდება 6 კამერით (ჯამში 10 კამერა).გარე და შიდა კამერების გამოსახულების ჩაწერა და მონიტორინგი ხდება დირექტორის კაბინეტში.<br><br>ჯ. ნადირაძის ქუჩაზე დაწესებულებას აქვს ერთი ძირითადი შემოსასვლელი და ერთი სათადარიგო გასასვლელი ეზოს მხრიდან.უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად განლაგებულია სამი გარე კამერა, რომელთაგან ორი აკონტროლებს შემოსასვლელის გარე პერიმეტრს და ერთი სკოლის ეზოს. შიდა უსაფრთხოებისათვის დამონტაჟებულია სამი სამეთვალყურეო კამერა. <u>სკოლამ ვიზიტის პერიოდში სათადარიგო გასასვლელში, რომელიც არ კონტროლდებოდა, დაამონტაჟა ერთი სამეთვალყურეო კამერა.</u><br>ჯამში ჯ. ნადირაძის ქუჩაზე მდებარე დაწესებულებაში 7 ვიდეომეთვალყურეობის კამერაა. კამერების პარამეტრები შეესაბამება: „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

| | |
|---|---|
| | მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. |

**მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა**

| | |
|---|---|
| | |
| დადასტურება/დანართი | • კამერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.ე“ ქვეპუნქტი. |

**2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი შპს-ს წესდება დამტკიცებული სკოლის დირექტორის მიერ (01.05.2017 წ.), დებულება, შინაგანაწესი, საქმისწარმოების წესი და თანამდებობრივი ინსტრუქციები (ბიბლიოთეკის, საგამოცდო, უსაფრთხოების და მედდის). სკოლის ფუნქციონირებისათვის საჭირო რეგულაციები არასრულია, გაწერილია სხვადასხვა თანამდებობრივი ინსტრუქციის სახით ან შრომით ხელშეკრულებაშია მოცემული. მარეგულირებელ დოკუმენტებში პუნქტების ნაწილი არ არის ერთმანეთთან თანხვედრაში. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლის სტრუქტურაში შევიდა ცვლილება და სტრუქტურა შესაბამისობაში მოვიდა რეალურ მდგომარეობასთან.<br><br>**სკოლის დირექციას მიეცა რეკომენდაცია სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებში მოცემული რეგულაციები მოიყვანოს შესაბამისობაში. ასევე საქმისწარმოების წესის მიხედვით შეიმუშავოს ერთიანი დოკუმენტი, სადაც თავმოყრილი იქნება ყველა იმ რეგულაციის განხორციელების მექანიზმი , რომლებიც ზემოთნახსენებ დოკუმენტებშია გაბნეული.** |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

| | |
|---|---|
| დადასტურება/დანართი | • სკოლის დებულება;<br>• შინაგანაწესი;<br>• საქმისწარმოების წესი;<br>• სტრუქტურული ერთეულების დებულებები. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი. |

**2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შემუშავებული აქვს გრძელვადიანი (ექვსწლიანი 2016/2022 წლების) და მოკლევადიანი 2017/18; და 2018/19 სასწავლო წლების განვითარების გეგმები, რომლებიც სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს მატერიალური რესურსების გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს, კერძოდ: საკლასო ოთახების რემონტს, ფასადის მოწყობას, სკოლისთვის ელექტრო-ტექნიკის შეძენას და სხვა.<br><br>მოკლევადიანი გეგმის ფარგლებში დაგეგმილი მატერიალური რესურსების გაუმჯობესების ფარგლებში სკოლას 2017 წელს შეძენილი აქვს სასკოლო ლაბორატორიისათვის ადამინის ჩონჩხი და ტორსი. |
| დადასტურება/დანართი | • 2016-2022 წლების ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა;<br>• 2017-2018 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;<br>• 2018-2019 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;<br>• სასაქონლო ზედნადები და შესყიდვის დოკუმენტაცია. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

| | |
|---|---|
| | მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი. |

**2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა**

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულებაში შემუშავებულია საქმისწარმოების წესი, რომლის მიხედვით სკოლა აწარმოებს შემდეგი სახის დოკუმენტაციის აღრიცხვას: 1. შემოსული კორესპონდენცია; 2. გასული კორესპონდეცია; 3. სკოლის დირექტორის ბრძანებები ცალკე ზოგადი, ცალკე პედაგოგებისა და ცალკე მოსწავლეების; 4. ცნობების.<br>სკოლაში გარდა ზემოთაღნიშნული დოკუმენტაციისა, ასევე არის საქაღალდეები სადაც ინახება : ხელშეკრულებები მშობლებთან; ხელშეკრულებები მასწავლებლებთან და სხვა პერსონალთან; მომსახურების ხელშეკრულებები. ყველა ეს ხელშეკრულება დანომრილია და დალაგებულია წლების მიხედვით, მაგრამ მათი გატარება არ ხდება ჟურნალში და ეს ვალდებულებაც არაა გაწერილი საქმისწარმოების წესში.<br>**სკოლამ ექსპერტების მიერ საქმისწაროების კუთხით მიცემული რეკომენდაციები: ჟურნალები სათანადო წესით დაელუქათ და დაემოწმებინათ ბეჭდით, ხელშეკრულებები გაეტარებინათ შესაბამის ჟურნალში, ვიზიტის პერიოდშივე გაითვალისწინა და გამოასწორა.** |
| დადასტურება/დანართი | • საქმისწარმოების წესი;<br>• კორესპოდენციათა რეესტრის ჟურნალები;<br>• შესაბამისი საქაღალდეები;<br>• ინტერვიუირება; |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

## მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

## III. ადამიანური რესურსი

**3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი**

| | |
|---|---|
| აღწერა | სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის გასახორციელებლად შპს გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მატემატიკურ სკოლას ემსახურება 51 თანამშრომელი, რომელთა შორის 38 პედაგოგია. აქედან 11 პედაგოგი უფროსი, 14 -პრაქტიკოსი , ხოლო 13 პედაგოგი სტატუსგარეშეა.<br><br>სკოლის ადმინისტრაციულ და ტექნიკურ მომსახურებას უზრუნველყოფს 11 თანამშრომელი: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ინფო მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი, ბიბლიოთეკარი-2, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ექთანი-2, დამლაგებელი-2, სკოლის დაცვა-დარაჯი-2. აღნიშნული ადამიანური რესურსით სკოლა წარმართავს სასწავლო პროცესს.<br><br>საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის N67 გადაწყვეტილების თანახმად, შპს გურამ დევდარიანის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 320 მოსწავლით. მათ შორის ჯურხა ნადირაძის ქუჩა 26 მდებარე შენობაში 120 მოსწავლით, ხოლო ჩარგლის ქუჩა 79 მდებარე შენობაში-200 მოსწავლით. ამჟამად სკოლაში, მართვის საინფორმაციო სისტემის მიხედვით ირიცხება 123 მოსწავლე. |
| დადასტურება/დანართი | • მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზები; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

| | |
|---|---|
| | • გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>• პირადი საქმეები. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ა" ქვეპუნქტი. |

**3.2** **სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. მასწავლებლები, ძირითადად, შერჩეული არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის ,,21³" მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნით და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. მასწავლებელთა პირადი საქმეებით დასტურდება მათი კომპეტენციის შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან.<br><br><u>თუმცა, 13 მასწავლებელთან არასწორადაა შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული, რადგან ისინი ვერ აკმაყოფილებენ „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის" მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მასწავლებლებს არ აქვთ ჩაბარებული საგნობრივი კომპეტენციის დამდასტურებელი გამოცდა. მათ უმეტესობას უმაღლესი განათლების დიპლომით არ აქვთ მინიჭებული მასწავლებლის კვალიფიკაცია და საჭიროებენ მასწავლებლის მომზადების პროგრამის გავლას.</u><br><br>**სკოლის დირექცას მიეცა რეკომენდაცია გაითვალისწინოს „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში (20/07/2018 ) შესული ცვლილება და პედაგოგების მიღება განახორციელოს შესაბამისი სტატუსით, შესაბამისი სახელშეკრულებო** |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

| | | |
|---|---|---|
| | | **პირობებით.**<br><br>აღსანიშნავია, რომ სკოლაში ხშირია მასწავლებლების მოძრაობა, ყოველწლიურად მასწავლებელთა დაახლოებით 1/3 იცვლება. შესაბამისად ავტორიზაციის მინიჭების მომენტიდან დღემდე, მასწავლებლების საერთო რაოდენობის ცვლილებამ გადააჭარბა 10%. აღნიშნულის შესახებ სკოლამ არ აცნობა ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (დირექციის განმარტებით აღნიშნული ვალდებულების შესახებ სკოლა ინფორმაციას არ ფლობდა)<br>**სკოლას მიეცა რეკომენდაცია გაითვალისწინოს** : **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №77/ნ „მუხლი 30[2].** „იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის მინიჭების მომენტიდან მასწავლებლების/პროფესიული განათლების მასწავლებლების/აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საერთო რაოდენობის ცვლილებამ მიაღწია 10%-ს, დაწესებულება ვალდებულია ცვლილებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში წერილობით აცნობოს ცენტრს აღნიშნულის შესახებ. |
| | დადასტურება/დანართი | • მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზა;<br>• მასწავლებლების პირადი საქმეები;<br>• გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>• გასაუბრება. |
| | შეფასება | **დარღვეულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი. |

**3.3** სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

## მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

### სანქციების გამჭვირვალე სისტემა

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის შინაგანაწესში ან სკოლის დებულებაში არ არის განსაზღვრული თანამშრომლების მიღების წესი. სკოლის წესდების მიხედვით, დირექტორი ბრძანებით განსაზღვრავს თანამშრომელთა, პედაგოგთა სკოლაში მიღების წესს, თუმცა ასეთი ბრძანება არ არსებობს. დირექციასთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ისინი იკრიბებიან და წყვეტენ სკოლაში მასწავლებელთა მიღებისა და გათავისუფლების საკითხებს საყოველთაოდ მიღებული კონკურსის წესის მიხედვით, მაგრამ თანამშრომელთა სამსახურში მოღებისას წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი ან საკონკურსო პირობები და ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი დადგენილი არ არის. შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლის პედაგოგთა საშემსრულებო დისციპლინა, დისციპლინარული დევნისდა წახალისების ფორმები, მაგრამ არ არის დაკონკრეტებული, რომელ გადაცდომას რა სახდელი მოჰყვება ან წახალისების ამა თუ იმ ფორმას რა შემთხვევაში გამოიყენებენ.<br><br>პედაგოგებთან, მშობლებთან და დირექციასთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს დისციპლინის მართვას. მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა ზუსტად იციან სახდელებისა და წახალისების ფორმების შესაბამისობა, მაგრამ ეს დოკუმენტაციაში არ არის ასახული.<br><br>**სკოლას მიეცა რეკომენდაცია მეტი გამჭირვალობისათვის თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების , ასევე წახალისებისა და სანქციების წესები დეტალურად გაწეროს სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებში.** |
| დადასტურება/დანართი | • სკოლის შინაგანაწესი;<br>• დებულება;<br>• შრომითი ხელშეკრულებები;<br>• ინტერვიურება. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

| | |
|---|---|
| | მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით. |

**3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის ყველა პედაგოგთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ერთწლიანი ხელშეკრულებები, რომლებშიც განსაზღვრულია ხელშეკრულების ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლებები და მოვალეობები, სამუშაო დრო და შრომის ანაზღაურება, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შრომითი ურთიერთობების გაწყვეტა, დამატებებითი ვალდებულებები, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა. |
| დადასტურება/დანართი | • პედაგოგთა პირადი საქმეები;<br>• ხელშეკრულებები. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით. |

**3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას განვითარების სტრატეგიულ გეგმებში წარმოდგენილი აქვს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. ამავდროულად სკოლა ჩართულია „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

| | |
|---|---|
| | სქემაში“. არსებობს დირექტორის მიერ დამტკიცებული ბრძანება სკოლის შიდა შეფასების ჯგუფის შექმნის შესახებ; შეფასების ჯგუფის წევრების, მათ შორის ფასილიტატორის არჩევა დასტურდება კათედრების შესაბამისი ოქმებით. პედაგოგები გადანაწილებულები არიან სქემის შესაბამისი საფეხურების მიხედვით; კათედრის სხდომებზე განიხილება ურთიერთთანამშრომლობის საკითხები, პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. პედაგოგების მიერ დაგროვებული კრედიტქულები ასახულია eschool-ის საინფორმაციო ბაზაში. |
| დადასტურება/დანართი | • კათედრის ოქმები;<br>• პედაგოგიური საბჭოს ოქმი;<br>• დირექტორის ბრძანება შეფასების ჯგუფის შექმნის შესახებ;<br>• პედაგოგთა სერტიფიკატები;<br>• პედაგოგთა მიერ სქემის ფარგლებში დაგროვილი კრედიტქულები;<br>• გამოკითხვები; |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით. |

**3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის შინაგანაწესში გაწერილია სკოლაში დასაქმებული სხვადასხვა თანამდებობის პირთა უფლება–მოვალეობები, რომლის მიხედვითაც ხდება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის შესაძლებლობათა გამოვლენის ხელშეწყობა. სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

## მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, სასკოლო საზოგადოებაში პასუხისმგებლობი გადანაწილებულია.<br><br>სკოლის მოსწავლეებმა, პედაგოგებმა და მოსწავლეთა მშობლებმა ინტერვიუირებისას განმარტეს, რომ კეთილგანწყობისა, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო არის სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარე.<br><br>სკოლას მიეცა რეკომენდაცია: სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენის, პასუხისმგებლობის გადანაწილების მიზნით წაახალისოს და მეტად შეუწყოს ხელი სკოლაში არაფორმალურ განათლებას, არჩევითი ორგანოების: თვითმმართველობის (განსაზღვრულია სკოლის დებულებით) , კლუბების, საინიციატივო ჯგუფების და სხვ. დაარსება/ფუნქციონირებას. |
| დადასტურება/დანართი | • შინაგანაწესი;<br>• სკოლის ვებგვერდი - http://www.gdss.edu.ge/<br>• სკოლის facebook გვერდი https://www.facebook.com/gdss.edu.ge/<br>• ინტერვიუები. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით. |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი